დასკვნა:**დ08. 3723296001**
თარიღი:**23/10/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომაზე 2023 წლის 20 ოქტომბერს განხილულ პროექტებზე:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიამ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს განიხილა მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად შემოტანილი პროექტები და მიიღო გადაწყვეტილებები:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ:

   კომისიამ გადაწყვიტა: მერის მიერ წარმოდგენილი პროექტი - ,, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ რეკომენდებულ იქნას საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

   კომისიამ გადაწყვიტა:

   1. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს, გამოუყენებელი არასასოფლო სამეურნეო დაწესებულების მიწის ნაკვეთის სამეურნეო საქმიანობაში ჩართვას და შესაბამისად, ბიუჯეტში შემოსავლებს ზრდის.

   2. ზემოთ აღნიშნული პროექტი შემოტანილი იქნას საკრებულოს დღის წესრიგში მისი განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

   3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მ. კოსტავას

      ქუჩა N1-ში (ს/კ 26.26.42.003.01.507) მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 18.4 კვმ. ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

      კომისიამ გადაწყვიტა: მიეცეს მერს თანხმობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ს/კ 26.26.42.003.01.507) სარგებლობით უფლებით ნატო-ევროკავშირის საინფორმაციო

ცენტრისთვის 2 წლის ვადით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვაკიჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 26.21.16.233) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემა ითვალისწინებს ნაკვეთზე ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის მოწყობას.

2. მიეცეს მერს თანხმობა ვაკიჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის (16კვ/მ) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების (ს/კ 26.26.47.306, ს/კ 26.26.47.173, ს/კ 26.26.01.682, ს/კ 26.26.47.172, ს/კ 26.26.47.080, ს/კ 26.26.01.681, ს/კ 26.26.46.065, ს/კ 26.26.01.680, ს/კ 26.26.55.161, ს/კ 26.26.47.113, ს/კ 26.26.47.114, ს/კ 26.26.47.060) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. პროექტით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემის პროექტი ითვალისწინებს მათ გადაცემას შპს „სატრანსპორტო კომპანიისთვის“ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის საპარკინგე ადგილების მოსაწყობად.

2. მიეცეს მერს თანხმობა პროექტით გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე (სულ 12 ლოკაცია).

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი